

ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

## სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

### მუხლი 1. რეგულირების სფერო:

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში (შემდგომში - თსას) სტრატეგიული დაგეგმვის მიზანს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს და ეტაპებს, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ჩართვას თსას-ის შეფასების და პრიორიტეტების განსაზღვრის დონეზე და ხელს უწყობს თსას-ში ორგანიზაციული კულტურის განვითარებას;
3. თსას-ში სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება პროცესის უწყვეტობას და დაგროვილი გამოცდილების რეგულარულ გამოყენებას.

### მუხლი 2. თსას-ში სტრატეგიული დაგეგმვის მიზანი:

1. სტრატეგიული დაგეგმვა მიზნად ისახავს, განსაზღვროს თსას-ის მისია, გრძელვადიანი მიზნები და მათი მიღწევის გზები;
2. თსას-ში სტრატეგიული დაგეგმვა უზრუნველყოფს:
  - განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას;
  - მისაღწევი მიზნების დასახვას;
  - მიზნის მიღწევის გზებისა და შესაბამისი ვადების განსაზღვრას;
  - პასუხისმგებელი სტრუქტურების/პირების გამოკვეთას;
  - ანგარიშების სისტემის შექმნას;

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე რეაგირებას.

### მუხლი 3. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი

თსას-ში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეფექტურად ორგანიზების მიზნით, რექტორის ბრძანებით ყალიბდება სამუშაო ჯგუფი, რომელიც დადგენილი მეთოდოლოგიით, განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოფს თსას-ის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებას.

#### **მუხლი 4. სტრატეგიულ დაგეგმვაში დაინტერესებული პირების მონაწილეობის უზრუნველყოფა**

თსას უზრუნველყოფს სტრატეგიის ფორმულირებისას დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინებას, სათანადო მეთოდოლოგიით დაგეგმილი და განხორციელებული გამოკითხვების, სამუშაო შეხვედრებისა და სხვა მეთოდოლოგიით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს.

#### **მუხლი 5. სტრატეგიის შინაარსის განსაზღვრა**

სტრატეგია უნდა დაიგეგმოს თსას-ის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ყველა მიმართულების გათვალისწინებით და უზრუნველყოს ინსტიტუციური განვითარება და სწავლების ხარისხის ამაღლება.

#### **მუხლი 6. სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურა**

1. თსას-ის სტრატეგიული განვითარების გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) დოკუმენტის შინაარსი (აღწერა);

ბ) თსას-ის მისია და ხედვა;

გ) თსას-ის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება, განვითარების შესაძლებლობების მიმოხილვა და განხორციელების რისკების შეფასება;

დ) სტრატეგიული მიზნები - თსას-ის მისიიდან გამომდინარე განსაზღვრული მიზნების შესახებ განაცხადი; სტრატეგიული მიზნები უნდა იყოს კონკრეტული, მიღწევადი და შეფასებადი, დროში განსაზღვრული;

ე) მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული ამოცანების კონკრეტული ჩამონათვალი;

ვ) სტრატეგიის დანერგვით მოსალოდნელი შედეგები;

ზ) სტრატეგია შეიძლება მოიცავდეს სხვა დამატებით ინფორმაციას იმ პირობების შესახებ, რაც შესაძლებელს ხდის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიღწევას ან სხვა აქტუალურ ინფორმაციას.

2. სტრატეგიული განვითარების გეგმა დგება 7- წლიან პერიოდზე გათვლით;
3. თსას-ის სტრატეგიული განვითარების გეგმას უნდა დაერთოს 3-წლიანი სამოქმედო გეგმაც.

### **მუხლი 7. სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება**

სტრატეგიული განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმა აღწერს: მიზნების მისაღწევად შესასრულებელ სამუშაოს, განხორციელების ვადებს, განმახორციელებელ სტრუქტურებს/პირებს, შეფასების ინდიკატორებს. საჭირო რესურსებს და ინფორმაციას ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ.

### **მუხლი 8. სტრატეგიის ფინანსური უზრუნველყოფა**

1. თსას-ის სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს თსას-ის ფინანსური რესურსის გათვალისწინებით;
2. თსას უზრუნველყოფს სტრატეგიით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისობას პროგნოზირებად ბიუჯეტთან.

### **მუხლი 9. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება**

1. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით:
  - ა) რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები;
  - ბ) რამდენად ეფექტური იყო თსას-ის სტრატეგია;
2. თსას ყოველწლიურად უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაციის შეჯამებასა და გაანალიზებას;
3. ამ მუხლით განსაზღვრული შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, თსას-ში, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. ცვლილებების ინიცირებაზე უფლებამოსილია სასწავლებლის რექტორი/სამეცნიერო საბჭო/სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები.